

## ოქმი # 3

### თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომისა

#### სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), ვ. გარსევანიშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 10 წევრი);

ინსტიტუტის დირექტორის მ.შ.: ნინო ფარცვანია.

#### დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის განხილვა და დამტკიცება;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების განხილვა და დამტკიცება;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის განხილვა და დამტკიცება;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების განხილვა და დამტკიცება.

არჩეულ იქნა სხდომის მდივანი მ. ჯიბლაძე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** ინსტიტუტის დირექტორის მ.შ.-ის ნინო ფარცვანიასა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლები, რომლებმაც საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი;

2. განცხადება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურა;

4. განცხადება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

საბჭომ განიხილა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**და ა დ გ ი ნ ე ს:**

ოსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ღია კენჭისყრის საფუძველზე ერთხმად დამტკიცდა:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი;

2. განცხადება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურა;

4. განცხადება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტები ოქმს თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარე

თ. ქაღვიშვილი

სხდომის მდივანი

მ. ჯიბლაძე

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის  
ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი**

**მუხლი 1. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის ორგანიზაციული საკითხები**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემგომში - „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის (შემდგომში - „ინსტიტუტი“) დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურას ატარებს და შერჩევის დღეს განსაზღვრავს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.
2. შერჩევის პროცედურა ტარდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. თუ ინსტიტუტის დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ამავდროულად დირექტორობის კანდიდატი, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და სამეცნიერო საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებამდე ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან.

**მუხლი 2. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის გამოცხადება**

1. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ განცხადებას ადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. განცხადებაში აისახება დირექტორის კანდიდატურისათვის დადგენილი მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის სახეობები, მათი წარმოდგენის ადგილი, ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.
2. იმ შემთხვევაში თუ, სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურაში კანდიდატად 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის მქონე პირის მონაწილეობის დასაშვებობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებამდე 5 დღით ადრე მაინც.
3. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და ასევე წინამდებარე წესი საჯაროდ განთავსებას ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

**მუხლი 3. დირექტორისათვის დადგენილი მოთხოვნები**

1. დირექტორობის კანდიდატად შეიძლება შერჩეული იქნეს და დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლით განსაზღვრულ და ინსტიტუტის უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების“ მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

2. დირექტორობის კანდიდატად შესარჩევ პირს უნდა ჰქონდეს: სამეცნიერო დაწესებულებაში ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილება.

#### **მუხლი 4. დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა განცხადებების მიღების წესი**

1. დირექტორის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი.

2. დირექტორის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) ორი ფოტოსურათი (3X4);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო ნაშრომების სია;

ვ) სამეცნიერო დაწესებულებაში ადმინისტრაციული მუშაობის ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) დირექტორის სამოქმედო პროგრამა.

3. დირექტორობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განცხადების წარმოდგენი დაინტერესებული პირი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის გადასაცემად ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ მუხლითა და დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ განცხადებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

#### **მუხლი 5. დირექტორობის კანდიდატის შერჩევის პროცედურა**

1. დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კენჭისყრის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

2. სამეცნიერო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა განცხადებებსა და მათზე დართულ დოკუმენტაციას და ნიშნავს კენჭისყრის დღეს.

3. კენჭისყრა დირექტორობის კანდიდატის შესარჩევად ტარდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს 15<sup>00</sup>-დან 16<sup>00</sup> სთ-მდე.

4. საჭიროების შემთხვევაში შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით კენჭისყრის დაწყებამდე სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისიის წევრების შერჩევის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს.

5. სამეცნიერო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს დირექტორობის მხოლოდ ერთ კანდიდატს.

6. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დირექტორობის კანდიდატად შერჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად შერჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა

საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგად ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, დირექტორის შერჩევის პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

7. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

8. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.

#### **მუხლი 6. შედეგების გამოცხადება**

1. შერჩევის პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის შედეგები, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის კორესპონდენციით ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემდგომი რეაგირებისათვის.

2. დირექტორის კანდიდატურის შერჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.

#### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

წინამდებარე წესი ცნობისათვის ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციას.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
2. **თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად** შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების“ მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.
3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 სამტატო ერთეული. კანდიდატის ასაკი 65 წელს არ უნდა აღემატებოდეს.
4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს (საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით):
  - 4.1 უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ **ძირითად მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

*მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში;

*მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი)* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის

განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2 თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე **დამატებით მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

*მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)* - 30 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

*მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი)* - 20 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

4.3 უნდა ჰქონდეს სამეცნიერო დაწესებულებაში ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილება.

5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი);

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამეცნიერო ნაშრომების სია;

ზ) სამეცნიერო დაწესებულებაში ადმინისტრაციული მუშაობის ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) დირექტორის სამოქმედო პროგრამა.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 20 სექტემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 2017 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით, 11:00-დან 17:00 საათამდე, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, თამარაშვილის ქ. № 6, ოთახი № 403.

7. სამეცნიერო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 16 ოქტომბრისა.

8. კონკურსი გამოცხადებულია თსუ წესდების 23<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნის მიზნისათვის და მისი შედეგები ძალაში შედის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნისთანავე.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის  
სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურა**

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო (შემდგომში: სამეცნიერო საბჭო) თავის სხდომაზე განიხილავს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატობის მსურველთა განცხადებებსა და მათზე დართულ დოკუმენტაციას და ნიშნავს კენჭისყრის დღეს.
2. ღია კენჭისყრა ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში: სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელის 5 წლის ვადით ასარჩევად ტარდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს 15<sup>00</sup>-დან 16<sup>00</sup> სთ-მდე.
3. საჭიროების შემთხვევაში კენჭისყრის დაწყებამდე სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს საარჩევნო კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს. სამეცნიერო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის მხოლოდ ერთ კანდიდატს.
4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი ოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევნების პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
5. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე საარჩევნო კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.
6. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.
7. ზემოხსენებული პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები, მტკიცდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ და მისივე კორესპონდენციით ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.
8. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.



## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

9. ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

10. ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის, ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის, ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების“ მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

11. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობათა დასაკავებლად:

ა) ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

ბ) მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) ან მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

გ) გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

დ) მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

ე) დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

ვ) მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული), ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

ზ) დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული) ან მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

თ) თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული), მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული), ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

ი) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი (დამატებითი მოთხოვნა - უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული) ან მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 სამტატო ერთეული) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება);

12. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს (საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით):

12.1. ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი, ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი, ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ **ძირითად მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში;

ბ) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი)* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

გ) *უფროსი მეცნიერი თანამშრომელი* - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

12.2. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე ან უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის, ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის, ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ **დამატებით მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო)* - 30 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

ბ) *მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი)* - 20 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

გ) *უფროსი მეცნიერი თანამშრომელი* - 15 მაინც გამოქვეყნებული რეიტინგული სამეცნიერო სტატია შესაბამისი პროფილით, მათ შორის 3 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

12.3. უნდა ჰქონდეს ან სამეცნიერო კადრების მომზადების გამოცდილება, ან სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელობის გამოცდილება, ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილება.

13. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი);
- ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
- ე) სამეცნიერო ნაშრომების სია;
- ვ) ან სამეცნიერო კადრების მომზადების, ან სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელობის, ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზ) შესაბამისი სამეცნიერო განყოფილების განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.).

14. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 20 სექტემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 2017 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით, 11:00-დან 17:00 საათამდე, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, თამარაშვილის ქ. № 6, ოთახი № 403. სამეცნიერო სასბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც ასახული იქნება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები, ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცდეს და გაეგზავნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის არაუგვიანეს 2017 წლის 16 ოქტომბრისა.

15. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 7 წლის ვადით, ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 წლის ვადით, ხოლო უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში უვადოდ.

16. კონკურსი გამოცხადებულია თსუ წესდების 23<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნის მიზნისათვის და მისი შედეგები ძალაში შედის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნისთანავე.